პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-4 წელი

№ 39 (638) | კვირა, 17 მაისი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიპოვოთ წარმატებები სწავლასა და სპორტში



კროსის სტარტზე, ახალგაზრდებო!

ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი წინსვლისათვის, კომუნისტური საზოგადოების მხნე, მედგარი, ხალისიანი მშენებლების აღსაზრდელად ფიზიკური კულტურა და სპორტი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამიტომაა, რომ ფიზკულტურა და სპორტი მშრომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი არმია ახალი წარმატებებით, სპორტული ოსტატობის შემდგომი ზრდით პასუხობს.

საბჭოთა სპორტის წინსვლისა და აღმავლობისათვის სპორტის სხვა სახეობებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მძლეოსნობას, რომელიც ახალგაზრდობის საყვარელი სპორტია.

ჩვენს ქვეყანაში მძლეოსნური სპორტის განვითარებისათვის საუცხოო პირობები არსებობს. იყენებენ რა ამ მდიდარ შესაძლებლობებს, ჩვენი ქვეყნის მძლეოსნებმა მთელს მსოფლიოს დაანახვეს თავიანთი სიძლიერე, თავიანთი უპირატესობა ბურჟუაზიული ქვეყნების მძლეოსნებზე.

მძლეოსნობაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ მოპოვებული ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებსაც. სტადიონებზე, სპორტულ მოედნებზე, მძლეოსნურ სექტორებზე სისტემატურად გამოდიან ახალგაზრდები, იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას, იკაჟებენ სხეულს, ერთმანეთს ეჯიბრებიან მოხერხებულობაში, გამძლეობაში... ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ფარგლებს იქითაცაა ცნობილი საქართველოს მძლეოსანთა სახელები.

მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ მდგომარეობას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მძლეოსნური სპორტის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ჩამორჩენა. ეს კი იმის ნიშანია, რომ არაა მთლიანად აღმოფხვრილი ამ საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. ამის გამო ჩვენში დაბალი ტემპით მიმდინარეობს ახალგაზრდა, უნარიან სპორტსმენთა გამოვლინება.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დროზე აღმოფხვრან მძლეოსნური სპორტის განვითარების საქმეში არსებული ჩამორჩენა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ არა მარტო რესპუბლიკის დედაქალაქსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, არამედ თვითეულ საწარმოსა და დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, უმაღლეს სასწავლებელში, სკოლაში, შევქმნათ ყველა პირობა მძლეოსნობაში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის, ყველაფერი გავაკეთოთ მძლეოსანთა ახალი კადრების აღსაზრდელად.

ამის საუკეთესო საშუალება იქნება საგაზაფხულო მასობრივი კროსი, რომელიც ფიზკულტურულ კოლექტივებში მძლეოსნობის სექციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და რბენაში სპორტულ-ტექნიკური მიღწევების ამაღლებისათვის საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 17 მაისიდან 1 ივნისამდე ტარდება.

კროსის მონაწილეთათვის წარდგენილი გაზრდილი მოთხოვნები პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების წინაშე ახალ საპასუხისმგებლო ამოცანებს სახავს. კროსის მსვლელობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეჯიბრების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებას. ამ საქმეში დიდი როლი აკისრიათ წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების ხელმძღვანელებსაც. მათ ისე უნდა დააყენონ საქმე, რომ კროსის ჩატარების დღე სწორად შეუთავსონ საწარმოო და სწავლის პროცესს, რათა კროსში მონაწილეობა მიიღოს ყველა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ.

პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის მაღალ სპორტულ დონეზე მოსაწყობად ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა ჩატარებული. შეიქმნა კროსის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტები, მსაჯთა კოლეგიები, დაზუსტებულ იქნა ფიზკულტურულ კოლექტივებში გუნდების რაოდენობრივი შემადგენლობა და სხვ.

მაგრამ არაა დასამალი, რომ კროსისათვის ჯერ კიდევ ყველგან არ არიან მზად. საჭიროა ჩვენი ძალები მივმართოთ იქითკენ, რომ სასწრაფოდ აღმოვფხვრათ კროსის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის შემაფერხებელი მიზეზები, სასწრაფოდ შევქმნათ საორგანიზაციო კომიტეტები და მსაჯთა კომისიები იქ, სადაც ასეთები არ არსებობენ, გამოვნახოთ და სათანადოდ მოვამზადოთ კროსის ჩატარების ადგილი, დავაკომპლექტოთ გუნდები.

კროსის სტარტზე, ახალგაზრდებო! სახელოვანი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ვუპასუხოთ ახალი სპორტული მიღწევებით, ვასახელოთ სამშობლო, ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანა.

☆

საზოგადოების ჩემპიონი

კისლოვოდსკში გაიმართა სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია საქართველოს წარმომადგენელმა ს. წოწონავამ. მან ქვესაშუალო წონის ძალოსანთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველოს „პიშჩევიკის" ძალოსანთა გუნდი სპორტსაზოგადოების შარშანდელი ჩემპიონია. წლევანდელი პირველობაც გუნდური უნდა ყოფილიყო. ვინაიდან საქართველოს გარდა ვერც ერთმა რესპუბლიკამ ვერ შესძლო ჩემპიონატში სრული გუნდის წარმოდგენა, გათამაშდა მხოლოდ პირადი პირველობა.

დამტკიცებულია ნ. დუმბაძის მსოფლიო რეკორდი

საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის სექციამ მიიღო საერთაშორისო მძლეოსნობის მოყვარულთა ფედერაციის ცნობა იმის შესახებ, რომ დამტკიცებულია, როგორც მსოფლიო რეკორდი საბჭოთა სპორტსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნინო დუმბაძის მიღწევა.

გასული წლის ოქტომბერში გამოვიდა რა თბილისის შეჯიბრებაში, ნ. დუმბაძემ ბადრო ტყორცნა 57 მეტრსა და 4 სანტიმეტრზე. ეს შედეგი შეტანილია საერთაშორისო რეკორდების ცხრილში.

ევროპის პირველობა კრივში

კრივში ევროპის პირველობაზე შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად 12 მაისს მოსკოვიდან ვარშავას გაემგზავრა საბჭოთა მოკრივეების გუნდი. მის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები და ოსტატები ა. ბულაკოვი, ბ. სტეპანოვი, გ. გარბუზოვი, ა. ზასუხინი, ვ. მედნოვი, ს. შჩერბაკოვი, ბ. ტიშინი, ი. ეგოროვი, ა. შოციკასი, ნ. კოროლიოვი და სხვები.

შეჯიბრებები დაიწყება დღეს, 17 მაისს.

„უროჟაის" პირველობებზე

ლენინგრადში დამთავრდა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „უროჟაის" ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კალათბურთელთა კოლექტივები.

საქართველოს „უროჟაის" კალათბურთელთა გუნდმა, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთაგან, ჩემპიონატი მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა და პირველი ადგილი მოიპოვა. გუნდის მწვრთნელია სპორტის ოსტატი ვ. ჟღენტი.

კიროვოგრადში დამთავრდა „უროჟაის" ცენტრალური საბჭოს პირველობა ტანვარჯიშში.

„უროჟაის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ ოსტატ ქალთა შორის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის სტუდენტი ა. ბარსეგოვა — 96,75 ქულა. პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის ჩემპიონის საპატიო სახელი დაიმსახურა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა თ. პატარაძემ.

ფეხბურთელთა სკოლაში

ფეხბურთელთა სკოლა! — ასე უწოდებენ თბილისის ვაჟთა 35-ე სკოლას, სადაც მოსწავლეები საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ მასალასთან ერთად წარმატებით ეუფლებიან სპორტსაც. მას ექვსიოდე წლის ისტორია აქვს და საქართველოს ფეხბურთელთა გუნდებს უკვე სათანადო შევსება მისცა.

ამ დღეებში უჩვეულო გამოცოცხლებაა სკოლის დერეფნებსა და ოთახებში. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა გამოცდებისათვის მზადება. ამ ღონისძიებას ყოველმხრივ მომზადებული ხვდებიან დირექცია, მშობელთა კომიტეტი და მოსწავლეები. კედლებზე გაკრულია გამოცდებისადმი მიძღვნილი ლოზუნგები, 19 მაისს გამოვა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

პედსაბჭოს დადგენილების საფუძველზე ყველა საგნის მასწავლებელი ჩამორჩენილი მოსწავლეებისათვის სისტემატურად აწარმოებს დამატებით მეცადინეობას და კონსულტაციებს. გამოცდების მოახლოებასთან დაკავშირებით ყოველთვის ღიაა ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიისა და სხვა კაბინეტები. ამ პერიოდშიც, როგორც ყოველთვის, მოსწავლეებთან მთელი მონდომებით მუშაობენ გეოგრაფიის მასწავლებელი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ე. ხელაშვილი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. სოხაძე, ფიზიკის მასწავლებელი ი. მეტრეველი და სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. კიკნაძე, მ. ბერძენიშვილი.

მასწავლებლებმა უკვე 8 მაისისათვის გაამზადეს საგამოცდო ბილეთები. სკოლამ შეიძინა საჭირო ნივთები საკონტროლო წერითი სამუშაოებისათვის, დაბეჭდილია საგამოცდო ოქმები, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული საგამოცდო ცხრილი, გამოყოფილია და წესრიგზეა მოყვანილი საგამოცდო ოთახები.

გამოცდებისათვის მზადებასთან ერთად მოსწავლეები წარმატებით ემზადებიან შემაჯამებელი შეჯიბრებისათვის ფეხბურთში, რომელიც 5 ივნისიდან დაიწყება, გამოცდების დამთავრების შემდეგ კი ისინი გაემგზავრებიან ბაკურიანში საზაფხულო საწვრთნელ შეკრებაზე.

ო. გელაშვილი

• • •

სურათზე (ზევით) დილის ფიზდაჭურვა თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლაში. (ქვევით) კონსულტაცია გეოგრაფიაში.

ბეჯითად, გულმოდგინედ...

დილიდან, გვიან საღამომდე ჩქეფს სისხლსავსე ცხოვრება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ვესტიბიულში თავი მოუყრიათ სტუდენტებს. აგერ, ფანჯარასთან ორი ახალგაზრდა დგას. მათ ხელში წიგნი უჭირავთ და ცხარედ კამათობენ. ნაცნობი სახეებია! ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული სპორტსმენი, სპორტის ოსტატი ნადეჟდა დვალიშვილი თავის მეგობართან ერთად უნივერსიტეტის სპარტაკიადის დღევანდელ მაჩვენებლებს არჩევს.

— სპორტული დაოსტატებისათვის ბრძოლას დიდ დროს ვაძლევ, — უზიარებდა მეგობარს თავის გამოცდილებას ნ. დვალიშვილი, — მაგრამ მეცნიერების საფუძვლების დაუფლება ჩემი პირველი მცნებაა. ამ მიზანს ვუმორჩილებ მთელს ჩემს საქმიანობას, ამჟამადაც, როცა საგაზაფხულო სესიები უკვე კარს მოგვადგა.

... აქ კი სიჩუმეა. მხოლოდ წიგნების შრიალი ისმის. მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტში განვლილ მასალას იმეორებს ფილოსოფიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის წარჩინებული სტუდენტი, ფრენბურთელი უ. ბერეკაშვილი. სტალინის სტიპენდიანტ ვ. მშვენიერაძესთან ერთად იგი საფუძვლიანად ეუფლება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ მოძღვრებას.

და განა მარტო ისინი! უნივერსიტეტის თვითეული სპორტსმენი, ს. მაისურაძე იქნება ეს თუ ლ. გელუკაშვილი, გ. თედეევი თუ ლ ვორობიოვა, მთელ შესაძლებლობას ახმარს იმას, რათა გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით სანიმუშოდ მოემზადოს სესიებისათვის, ასახელოს სამშობლო, მშობლიური სასწავლებელი.

თ. ციცქიშვილი.

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲙᲠᲝᲡᲘ

მიმდინარე წლის სპორტული კალენდარი მრავალ საინტერესო ღონისძიებას შეიცავს. მასში დიდი ადგილი უჭირავს მასობრივ დაუსწრებელ შეჯიბრებას, სპარტაკიადას, კროსს. საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, მასობრივი კროსი ტარდება მიმდინარე წლის 17 მაისიდან 1 ივნისამდე. იგი მიზნად ისახავს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობის ფართო მასებმა ჩააბარონ მშთ კომპლექსის ნორმატივები, მიღწეულ იქნას ფიზკულტურულ კოლექტივებში მძლეოსნობის სექციების მუშაობის გაუმჯობესება და რბენაში სპორტულ-ტექნიკური მიღწევების შემდგომი ამაღლება.

პროფკავშირულ - კომკავშირული კროსი ტარდება დასერილ ადგილებში რბენით, ცალ-ცალკე, როგორც ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის, ისე ქალებისა და მამაკაცებისათვის. პროგრამაშია შემდეგი დისტანციები: ჭაბუკები — 1.000, 3.000 და 5.000 მეტრი, ქალები — 500, 1.000 და 2.000 მეტრი.

კროსი ტარდება მძლეოსნობაში მოქმედი წესების მიხედვით. როგორც ჩანს, კროსის პროგრამა რთულია და თვითეული კომკავშირელისა და ახალგაზრდისაგან მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად მოითხოვს სერიოზულ მომზადებას.

კროსში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას, რომლებსაც შეუსრულდებათ 14 წელი, გაივლიან წინასწარ მომზადებას (წვრთნას), სამედიცინო შემოწმებას და ექიმის მიერ დაშვებული იქნებიან კროსში მონაწილეობისათვის.

დიდი და საპასუხისმგებლო მუშაობა აქვთ ჩასატარებელი კომკავშირულ, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, მათ მიერ გამოყოფილ კროსის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს. საორგანიზაციო კომიტეტები ქმნიან მსაჯთა კოლეგიებს, რომლებსაც ეკისრებათ კროსის უშუალო ხელმძღვანელობა.

დებულების თანახმად, მასობრივი კროსი ტარდება საწარმოს, დაწესებულების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის, სასწავლებლის პირად-გუნდურ პირველობაზე საამქროების, განყოფილებების, ფაკულტეტებისა და სხვა გუნდებს შორის. საორგანიზაციო კომიტეტმა და მსაჯთა კოლეგიამ უნდა უზრუნველყონ გუნდების მაქსიმალური რაოდენობის დაკომპლექტება იმ ვარაუდით, რომ კროსში მონაწილეობა მიიღოს ყველა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ. თვითეულ ფიზკულტურულ კოლექტივში გუნდების რაოდენობრივი შემადგენლობა და მონაწილეთა ჩასათვლელი რიცხვი წესდება ადგილობრივი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებთან ერთად. იმ ორგანიზაციებში, სადაც შესაძლებელი არ არის ცალკეული გუნდების შექმნა, კროსი ტარდება გუნდური პირველობის გათამაშების გარეშე, უშუალოდ საწარმოს, დაწესებულებისა და სხვათა მასშტაბით.

დაწესებულია კროსში გამარჯვებულთათვის წახალისების ჯილდოები. პირად პირველობაში თვითეულ დისტანციაზე გამარჯვებულს ენიჭება წოდება „1953 წლის კროსში გამარჯვებული". ისინი დაჯილდოებული უნდა იქნენ პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ დაწესებული დიპლომებით, სიგელებითა და პრიზებით.

მაღალ ტექნიკურ დონეზე კროსის მოსაწყობად საჭიროა ახალგაზრდობამ ჩაატაროს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, წვრთნა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მომზადებას 2.000, 3.000 და 5.000 მეტრებზე რბენაში, რაც კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს.

თვითეულ ორგანიზაციას უნდა ქონდეს კროსის ჩატარების გრაფიკი. მას შედგენასა და სათანადო მუშაობის ჩატარებაში მათ პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოუჩინონ კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანოებმა, სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებმა.

. კროსის მომზადებასა და ჩატარებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ კომკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. მათ უნდა გააჩნდეთ თვითეულ ორგანიზაციაში კროსის ჩატარების გრაფიკი, ადევნონ თვალი მის შესრულებას, მიაღწიონ კროსის ნამდვილ მასობრიობას.

რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ფართო მასობრივი ხასიათი მისცენ კროსს, რათა მიღწეულ იქნას მაღალი სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლები, გამოვლინდეს ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენები, ჩააბარონ მშთ კომპლექსის ნორმატივები, გამოცოცხლდეს და გაუმჯობესდეს თვითეულ ფიზკულტურულ კოლექტივში მძლეოსნობის სექციების მუშაობა.

დ. კინწურაშვილი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის განყოფილების გამგე.

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სპორტსმენის სისტემატური, ნორმალური წვრთნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმის რჩევა-დარიგებას. იგი ყოველდღიურ კონტროლს აწესებს ვარჯიშის შედეგად სპორტსმენის ორგანიზმში გამოწვეულ ფიზიოლოგიურ ცვლილებებზე და სათანადო რჩევას აძლევს მწვრთნელს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება თბილისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი, რომლის განკარგულებაშია მდიდარი მოწყობილობა და მაღალკვალიფიციური საექიმო პერსონალი.

წელს აქ დაკვირვებაზე აყვანილია 1.500-მდე სპორტსმენი. ექიმები გაპიროვნებული არიან სპორტსმენებზე და ხელმძღვანელობენ მათ ყოველდღიურ საწვრთნელ მეცადინეობას, ხშირად ესწრებიან ფიზაღზრდის გაკვეთილებს სკოლებში, ტექნიკუმებსა და ინსტიტუტებში. დისპანსერის ექიმები სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც ატარებენ. მათი ძალებით ქალაქის ფიზკულტურულ კოლექტივებში ხშირად იკითხება ლექცია-მოხსენებები თემებზე: „სპორტსმენის ჰიგიენა", „სპორტსმენის კვება და რეჟიმი" და სხვ. ფიზკულტურის დარგში მომუშავე თბილისის ყველა ექიმისათვის აქ სისტემატურად ეწყობა სემინარი.

მიმდინარე წელს დისპანსერს გაუკეთდება რემონტი. მოეწყობა ფიზიო-თერაპიული, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, კლინიკო - დიაგნოსტიკის, სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო ფიზკულტურის კონტროლის კაბინეტები. ყველა კაბინეტი აღჭურვილი იქნება საჭირო ინსტრუმენტებითა და ინვენტარით. დისპანსერში იწარმოებს აგრეთვე სტაციონარული მკურნალობა.

ლ. ნიკოლაიშვილი

◆

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

გაზეთ „ლელოს" პირველი აპრილის ნომერში დაბეჭდილი იყო კრიტიკული წერილი „დადგენილება ქაღალდზე დარჩა". კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ სტალინირში არ არის საჭადრაკო კლუბი, რაც დიდად უშლის ხელს ჭადრაკის განვითარებას.

როგორც საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. კოლიევი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, რისთვისაც მიღებულია ზომები. ამჟამად უკვე შენდება საჭადრაკო კლუბი, რომელიც უახლოეს ხანში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ᲬᲕᲠᲗᲜᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲨᲘ

სიარული საუკეთესო საშუალებაა სპორტსმენის საერთო ფიზიკური მომზადებისათვის, მეტად სასარგებლოა სასუნთქი და სისხლის მიმოქცევის სისტემის წვრთნისათვის. სიარულში მეცადინეობა შეიძლება მთელი წლის განმავლობაში, ყოველგვარ ადგილმდებარეობასა და ამინდში.

წვრთნის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მაღალი შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ სრულწლიური, დაგეგმილი და სისტემატური მეცადინეობის შემდეგ. ვარჯიში იყოფა მოსამზადებელ, ძირითად და გარდამავალ პერიოდებად.

დამწყებმა მოსიარულემ მარტში, აპრილსა და მაისში უნდა თანდათანობით მოამზადოს ორგანიზმი სპეციფიკური მუშაობისათვის. წვრთნის ამოცანა ამ პერიოდში შემდეგია: ფიზიკური მომზადების შემდგომი გაუმჯობესება, მოსიარულესათვის საჭირო ისეთი თვისებების განვითარება, როგორიცაა — სისწრაფე, ძალა, გამძლეობა, ნებისყოფა და სხვ., სიარულის ტექნიკის დაუფლება-სრულყოფა.

კვირეული განრიგი ამ პერიოდში შემდეგია: **ოთხშაბათი** — ყოველმხრივი ფიზიკური მომზადება (საერთო-განმავითარებელი და სპეციალური მოსამზადებელი ვარჯიშები. სიმძიმეების აწევა, სპორტთამაშობანი და სხვ.). **პარასკევი** — სისწრაფის თვისებათა განვითარება. წვრთნა ტარდება კროსის ან სიარულის სახით, 100-300 მეტრზე აჩქარებით. **კვირა** — გამძლეობის განვითარება. ძირითადად გამოიყენება ხანგრძლივი, ტემპიანი სიარული (1 საათიდან 2 საათამდე).

სიარულის ტექნიკის შესწავლა და სრულყოფა სწარმოებს განუწყვეტლივ და ძირითადად შესდგება სპეციალური მოსამზადებელი ვარჯიშებისაგან. მათი შესრულების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ნაბიჯის სიგრძეს, ტერფის სწორ დადგმას, მენჯის ფრონტალურ გადაადგილებას, ფეხით მძლავრი არეკნის წარმოებას, ხელების მუშაობას, ზეტანის მდგომარეობას და ა. შ.

მოსიარულის წვრთნა მრავალფეროვანი უნდა იყოს. საჭიროა გარბენების, კროსების ხშირი გამოყენება. სიარული ტარდება 6-8 კილომეტრის მანძილზე დასაწყისში და 12-15 კილომეტრის მანძილზე მოსამზადებელი პერიოდის ბოლოს. სიარულის ტემპია 140-160 ნაბიჯი წუთში. სიარულის დროს ზეტანი დაუძაბავ, სწორ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, ხელები მოღუნულია სწორი ან მახვილი კუთხით და ენერგიულად მუშაობენ ზეტანის ახლოს, მხრის სარტყელი უნდა მოდუნებული იყოს. სუნთქვა სწარმოებს ცხვირის საშუალებით, ღრმად, რიტმულად და ზომიერი სიხშირით.

სპორტული სიარულის ტექნიკის დაუფლების ძირითად მომენტებად ითვლება მენჯ-ბარძაყის სახსრების მუშაობა და მძლავრი არეკნის შემდეგ ფეხის მოდუნება მისი წინ გატანის დროს, ფეხი მიწაზე იდგმება ქუსლიდან მისი შემდგომი გადატანით წვერისაკენ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მენჯის ფრონტალურ მუშაობას და ფეხის განივრად წინ გატანას. ტერფები იდგმება პარალელურად, სწორ ხაზზე. რბენაზე გადასვლის თავიდან აცილების მიზნით, ფეხს საყრდენი პერიოდის დროს უნდა გამართული მდგომარეობა ჰქონდეს.

სიარულში წვრთნა მთავრდება 3-5 წუთიანი წყნარი გარბენით. რბენის შემდეგ საჭიროა ვარჯიშების შესრულება გაჭიმვაზე, მოდუნებაზე 10-15 წუთის განმავლობაში და თბილი შხაპის მიღება.

მოსიარულემ წვრთნის დაწყებისთანავე უნდა ექიმთან შეამოწმოს თავისი ორგანიზმის მდგომარეობა. ყოველდღიური დაკვირვებანი სრულდება თვით სპორტსმენის მიერ თვითკონტროლის სახით (დაკვირვება წონაზე, პულსზე და სხვ.). აუცილებელია ჩატარებული საწვრთნელი მუშაობის ჩაწერა და თვითკონტროლის მონაცემების აღრიცხვა. დღიურის წარმოება ძნელი არაა და დიდ დახმარებას გაუწევს სპორტსმენს.

ლ. მიორბაძე.

საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი მძლეოსნობაში.

ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲐ

დამთავრდა კიროვის რაიონის წარმოება-დაწესებულებათა პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა 14 გუნდი. ჩემპიონატში, რომელიც ოლიმპიური წესით ჩატარდა, პირველი ადგილი მოიპოვეს ქაღალდის ფაბრიკის მოჭადრაკეებმა, გუნდს გადაეცა გარდამავალი დროშა, ხოლო მონაწილეებს — სიგელები. მეორე ადგილზე გამოვიდა ფაბრიკა „კომსომოლკა".

ნ. ბეროშვილი

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ

★

ქუთაისის, ფოთის, ცხაკაიას, სამტრედიისა და ლანჩხუთის ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან ტანვარჯიშის განვითარებისათვის

★ ★

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის ბრიგადამ შეამოწმა ქუთაისის, ფოთის, ცხაკაიას, სამტრედიისა და ლანჩხუთის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა ტანვარჯიშში. გამოირკვა, რომ აღნიშნულ ქალაქებში ტანვარჯიშის განვითარებას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. წლების მანძილზე არ ხდება ახალგაზრდა, ნიჭიერ ტანმოვარჯიშეთა გამოვლინება, მცირეა სექციების რაოდენობა, დაბალ დონეზე დგას სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა.

ქუთაისის, ფოთის, ცხაკაიას, სამტრედიის, ლანჩხუთის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ტანვარჯიშის განყოფილებები სუსტად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. ვერ ამართლებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. ტანვარჯიშის კლასები მუშაობენ ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე, მასში ჩაბმული მოსწავლეები მოწყვეტილი არიან საშუალო სკოლების ხელმძღვანელობას — დირექციას, პედსაბჭოს, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს, ფიზკულტურულ კოლექტივს, სკოლებთან არსებულ მშობელთა საბჭოს.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ტანვარჯიშის კლასებში საგრძნობია მოსწავლეთა დიდი დენადობა. კონტინგენტი შერჩეულია უყურადღებოდ და ისიც სისტემატურად იცვლება, ამის გამო სპორტსკოლების II-III და დახელოვნების IV კლასები ან არასრულად, ან სულ არ კომპლექტდება. მაგალითად, ქუთაისის ბავშვთა სპორტსკოლის ტანვარჯიშის განყოფილების 141 ტანმოვარჯიშიდან უმრავლესობა მოსამზადებელ და I კლასშია, მე-3 კლასში მხოლოდ 7 მოსწავლეა. ცხაკაიაში 98 ტანმოვარჯიშიდან ექვსის გარდა ყველა მოსამზადებელ კლასებშია. სპორტსკოლების დირექცია და ტანვარჯიშის მწვრთნელები ვერ ახერხებენ მოსწავლეთა შენარჩუნებას და ვერ იცავენ მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის წესს. ხშირად მოსწავლეები სტოვებენ სპორტსკოლას მოსამზადებელი და I კლასებიდან, მათ ნაცვლად კი დირექცია ახალ კონტინგენტს იღებს. ასე ხდება სწავლების მთელი წლის მანძილზე. ფოთის სპორტსკოლის დირექტორმა ამხ. გიგინეიშვილმა ტანვარჯიშის კლასში ი. წ. იანვრისათვის მიიღო 29 მოსწავლე, თუმცა მას არ ჰქონდა სექტემბერში მიღებულ მოსწავლეთა გაშვების საფუძველი. იმის გამო, რომ ტანვარჯიშის კლასებში დიდი დენადობაა, დირექტორები ვერ ასწრებენ მოსწავლეთა მიღებისა და გაშვების ბრძანების გაფორმებას და ტანვარჯიშის მწვრთნელები ამ საქმეს თვითნებურად განაგებენ. მაგალითად, ქუთაისის სპორტსკოლის ტანვარჯიშის მწვრთნელს ამხ. ოისელიანს, რომელიც 6 ჯგუფს ამეცადინებს (ეს ერთი მწვრთნელისათვის ბევრია), მოსწავლეთა უმრავლესობა დირექტორის ბრძანების გარეშე ჰყავს მიღებული. ასეთი ფაქტები შემჩნეულია დანარჩენ სპორტსკოლებშიც.

ნორმალურ მეცადინეობას ძლიერ უშლის ხელს ის, რომ სპორტსკოლებში არასწორად აქვთ შედგენილი ტანვარჯიშის განყოფილების სასწავლო გეგმები, არ გააჩნიათ ტანვარჯიშის განვითარების პერსპექტიული გეგმა. მწვრთნელებს არ აქვთ ტანვარჯიშის ძირითად საშუალებათა განაწილების გრაფიკი და პირადი სამუშაო გეგმა თანრიგებისა და სქესის მიხედვით. განხილული მასალების ჩანაწერები ბევრ შემთხვევაში სტანდარტულია და არ შეეფარდება მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების დონეს.

სპორტდარბაზების უმრავლესობაში იგრძნობა ტანვარჯიშისათვის საჭირო ინვენტარის ნაკლებობა და დაბალი ხარისხი. ფოთის სპორტსკოლის ტანვარჯიშის დარბაზი ნაწილობრივ გამოყენებულია ხე-ტყის მასალის საწყობად, ზამთარში არ თბება, იარაღები შესაკეთებელია და საჭიროა ახლის შეძენა. ქუთაისის ქალთა პირველ სკოლაში, სადაც ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად ამხ. ადამია მუშაობს, გაკვეთილების ჩასატარებლად გამოყოფილია სრულიად გამოუსადეგარი ოთახი, უვარგისი იარაღები. ოთახი შეუკეთებელია და ზამთარში არ თბება. ერთ-ერთი მეცადინეობის დროს, რომელსაც სკოლის დირექტორიც ესწრებოდა, ჩამოინგრა ჭერი. ქუთაისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში არის დიდი ფართობის დარბაზი, მაგრამ იგი მოუწყობელია, ტანვარჯიშული იარაღები უვარგისია და მიყრილია ერთ კუთხეში. ამ სკოლაში მუშაობენ ქალაქის განათლების განყოფილების მუშაკები, რომლებიც ამას ყურადღებას არ აქცევენ. ქუთაისის ვაჟთა მე-2 სკოლაში გაკვეთილები ტარდება პატარა ოთახში და ისიც შუაზეა გადატიხრული. სკოლის ძველი, დიდი ფართობის სპორტდარბაზი საქალაქო მუზეუმს გადაეცა.

განათლების განყოფილებები და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტები ქმედით ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევენ სპორტსკოლების ტანვარჯიშის განყოფილებებს. ისინი ვერ ჩაითვლებიან მოზარდი თაობის სპორტული დაოსტატების სამჭედლოდ, ვინაიდან მოწყვეტილი არიან სკოლის კოლექტივებს, მის ამოცანებსა და ინტერესებს და, რაც მთავარია, არ ეფარდება ტანვარჯიშის განვითარების ბუნებრივ პროცესს.

საშუალო სკოლებში მოსწავლე თანრიგოსანთა მომზადება სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული, რის გამოც მცირეა თანრიგოსან ტანმოვარჯიშეთა რაოდენობა. ფოთის სპორტსკოლაში 77 ტანმოვარჯიშიდან მხოლოდ შვიდია თანრიგოსანი, ცხაკაიაში 98-დან — 6, ხოლო სამტრედიაში 38 ტანმოვარჯიშიდან — არც ერთი.

„ისკრა", „ბურევესტნიკი", „ტრუდი", „შახტიორი", „სპარტაკი", „დინამო" და სხვა სპორტსაზოგადოებები არ ზრუნავენ ტანვარჯიშის განვითარებისათვის. ქუთაისში არც ერთ სპორტსაზოგადოებას არ ჰყავს ტანვარჯიშული სექცია.

ქუთაისის, ფოთის, ცხაკაიას, სამტრედიისა და ლანჩხუთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტები დაინტერესებული არ არიან ტანვარჯიშის განვითარებით, სუსტად ხელმძღვანელობენ ძირეულ ორგანიზაციებს, სამუშაო გეგმებში არ შეაქვთ ტანვარჯიშის საკითხები. ფიზკულტურის არც ერთ კომიტეტთან არ არის შექმნილი ტანვარჯიშის საზოგადოებრივი სექცია და მსაჯთა კოლეგია. უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე ტანმოვარჯიშეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სემინარი არ მოწყობილა. მკვეთრად იგრძნობა კვალიფიციური მწვრთნელების სიმცირე. ქუთაისის საშუალო სკოლებში მხოლოდ ერთი მასწავლებელია ტანვარჯიშის სპეციალობით, სამტრედიაში კი 18 უმაღლესდამთავრებული მასწავლებლიდან არც ერთი არაა ტანვარჯიშის სპეციალობით.

ქუთაისის, ფოთის, ცხაკაიას, სამტრედიისა და ლანჩხუთის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა აღმოფხვრან სერიოზული ჩამორჩენა ტანვარჯიშის განვითარებაში.

გ. კაკაურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის მოედნებზე

რვაჯერ შეირხა კარის ბადე

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის თ. ბახრამოვის სასტვენის ხმაზე მოედანზე გამოვიდნენ ქ. ლენინაბადის გუნდი (სეხნიევი, ზაიკუდინოვი, კარამიშევი, სადიკოვი, შაბაევი, სლეპცოვი, ივლევი, შენოგინი, გუტმანი, კორობოვი, იაკეიკო) და თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელები (მათევოსიანი, კუბლაშვილი, არხიპოვი, ხურციძე, გამყრელიძე, ავეტისოვი, პონომარენკო, ნორაკიძე, ჩაჩუკი, ხუნდაძე, კოვერზნევი).

თამაში დაიწყო თბილისელთა სწრაფი იერიშებით. პირველივე წუთებზე თავდამსხმელებმა გაითამაშეს რამდენიმე კომბინაცია. ხუნდაძემ ორჯერ ვერ გამოიყენა კარგი მდგომარეობა, მან ჯერ პონომარენკოს, ხოლო შემდეგ ჩაჩუკის კარგი გადაცემები საგრძნობი მანძილით ააცილა კარს.

არმიელები თამაშობდნენ ზუსტად, კომბინაციურად. გუნდის ყოველი ხაზი ძლიერი იყო მოწინააღმდეგისაზე, ლენინაბადელთა დაცვა მიჯაჭვული იყო თავის კართან და თავგამოდებით იცავდა მას. ასეთ განუწყვეტლივ, ენერგიულ, მაგრამ უნაყოფო იერიშებში გავიდა პირველი 20 წუთი. სტუმრებმა თანდათან მოახერხეს ურთიერთდახმარების მოწესრიგება დაცვაში, მაგრამ თამაშის გადატანა მოედნის სიღრმეში, საკუთარი საჯარიმო მოედნიდან დაშორებით მათ ვერ შეძლეს.

22-ე წუთზე ავეტისოვი გავიდა მარცხენა ფრთაზე და კართან ჩააწოდა. სეხნიევი და პონომარენკო ერთად მიიჭრნენ ბურთთან, მაგრამ არმიელმა წამით დაასწრო და სტუმართა კარის ბადეში პირველი ბურთი გაეხვია. 1:0.

37 წ. კარის სიახლოვეს შეიბნენ კოვერზნევი და სეხნიევი. თბილისელთა მარცხენა გარემარბმა მოასწრო და ბურთმა მეორედ გადასერა კარის ხაზი. 2:0. მალე სტუმრებს ჰქონდათ ბურთის გატანის ერთად-ერთი საშუალება, მაგრამ კორობოვმა არაზუსტად დაარტყა. 44 წუთზე ჩაჩუკი მარჯვენა მხრიდან გავიდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, კარიდან გამოიტყუა მეკარე და მის თავს ზემოდ ოსტატურად გადააგდო ბურთი ბადეში — 3:0.

მეორე ტაიმი თბილისელებმა ისევე დაიწყეს, როგორც პირველი. თავდამსხმელებმა მაშინვე გაიტაცეს ბურთი და მოწინააღმდეგის კართან დასახლდნენ. არმიელთა უპირატესობა აშკარა იყო. მე-6 წუთზე კოვერზნევის მიერ თავით გაგზავნილი ბურთი კარის ზემო ძელს მოხვდა, ორი წუთის შემდეგ კი ცარიელი კარის წინ მდგომმა ხუნდაძემ ბურთი თითქმის ვერტიკალურად, მაღლა დაარტყა. თამაში თანდათან უფრო ცალ გოლში ვარჯიშს ემსგავსება, მაგრამ არმიელები კვლავ ვერ იყენებენ შესანიშნავ მომენტებს.

მე-15 წუთზე კოვერზნევმა გაიტაცა ბურთი, დაუყვა ზედ პირით ხაზს, მოატყუა ზაიკუდინოვი, კარამიშევი და მიაწოდა უმეთვალყურეოდ დატოვებულ პონომარენკოს. სეხნიევმა მეოთხე ბურთი გამოიტანა ბადიდან.

მე-20 წუთზე ჩაჩუკმა სნაიპერული გადაცემით გარღვევაზე გაიყვანა კოვერზნევი. დარტყმა. 5:0.

36-ე წუთზე ჩაჩუკი დრიბლინგით გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე და ზუსტად გადააწოდა ცენტრში. პონომარენკომ, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა მატჩი, არ დააყოვნა და ლენინაბადელებმა მეექვსედ დაიწყეს ცენტრიდან.

წუთის შემდეგ ჩაჩუკმა 20 მეტრიდან მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. თბილისელთა ფარზე ანგარიში — 7.

გაისმა გონგის ხმა. თბილისელები კვლავ უტევდნენ მოწინააღმდეგეს და თამაშის 89-ე წუთზე. ხუნდაძემ უკანასკნელი, მერვე ბურთი მოათავსა ლენინაბადის გუნდის კარში.

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა აღნიშნული შეხვედრა მოიგო დიდი ანგარიშით — 8 : 0.

რ. ძორიძე

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი

მდგომარეობა 17 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი" მ.	5	3	1	1	11:7	7
„კრ. სოვეტოვი"	5	1	4	0	2:1	6
„დინამო" მ.	5	2	2	1	7:4	6
„დინამო" კ.	4	3	0	1	5:3	6
„დინამო" თბ.	5	2	2	1	7:5	6
„სპარტაკი" მ.	5	1	4	0	4:3	6
„სპარტაკი" ვ.	4	1	3	0	3:1	5
„ტორპედო" მ.	5	2	1	2	7:7	5
მ ვ ო	4	1	1	2	2:3	3
„ზენიტი"	4	1	1	2	2:4	3
„ლოკომოტივი" ხ.	5	1	0	4	3:10	2
„დინამო" ლ.	5	0	1	4	1:6	1

„ა" კლასის ოსტატთა შეხვედრები

14 მაისს ლენინგრადის კიროვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". კუიბიშეველებმა მოიპოვეს პირველი გამარჯვება ამ სეზონში ანგარიშით 1:0.

• • •

ამავე დღეს მოსკოვში „სტალინეცის" სტადიონზე საბჭოთა კავშირის თასის მფლობელმა მოსკოვის „ტორპედომ" გათამაშების ცხრილში ჩაიწერა მეორე მოგება ზედიზედ. ტორპედოელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ხარკოვის „ლოკომოტივი".

• • •

მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე 15 მაისს გაიმართა სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი" და „დინამო".

საინტერესო, დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ—2:2.

ბრწყინვალე წარმატება

სურათზე **ი. დუგანოვი**

ტალინში მოეწყო ჩვენი ქვეყნის პირად გუნდური პირველობა ძალოსნობაში. შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია მსუბუქი წონის ფ. ნიკიტინმა, რომელმაც აჯიმვაში დაამყარა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ახალი რეკორდი. ფ. ნიკიტინმა აწია 113 კგ. ეს შედეგი ნახევარი კილოგრამით აღემატება ამერიკელ კონოს მიღწევას.

ქვესაშუალო წონის ძალოსანმა ი. დუგანოვმა ასევე შესწორება შეიტანა მსოფლიო რეკორდების ცხრილში. მან ორი ხელით ატაცში აწია 131 კილოგრამი, რაც ერთი კილოგრამით აღემატება მის მიერვე ადრე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

თბილისელმა რ. ჩიმიშკიანმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შეხვედრაში პირველობა დაუთმო საქსონოვს და დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო ხ. ხანუკაშვილმა — მესამე.

საქართველოს XIV ჩემპიონატი ჭადრაკში

ГУРГЕНИДЗЕ Б. И
БЛАГИДЗЕ А. В

12 მაისს ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა ტექნიკური აღზრდისა და პროპაგანდის სახლში დაიწყო საქართველოს XIV ჩემპიონატი. აქ არის გასული წლის ჩემპიონი სპორტის ოსტატი მ. შიშოვი, რომელიც საპატიო წოდების შენარჩუნებაზე სამართლიანად ოცნებობს. სათამაშო მაგიდასთან ადგილებს იკავებენ საქართველოში ჭადრაკის ვეტერანი ნ. სოროკინი და, მართალია, ჯერ კიდევ გაუმართლებელი, მაგრამ მაინც დიდი იმედების მომცემი ბ. გურგენიძე. ნორჩ მოჭადრაკეთა მასწავლებელი ვ. ქარსელაძე გულში ვარაუდობს, რომ მის მიერ აღზრდილ მოსწავლე ჩემპიონებს ჯერ არც თვითონ ჩამორჩება. ტურნირში მონაწილეობენ ა. ბლაგიძე და ა. ბუსლაევი, რომელთა მოდრეკა ადვილი როდია.

პირველი ტური

დასაწყისში ყველა ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მაგრამ მალე ზოგი უფრო გამხიარულდა, ზოგი კი მოიღუშა და ცუდ პოზიციას დიდხანს ჩაუფიქრდა. მაყურებელთა ყურადღება ყველაზე მეტად მიიპყრო ბახტაძის შეხვედრამ ბუსლაევთან. ბახტაძე, რომელიც თეთრებით თამაშობდა რაუზერის ვარიანტს სიცილიურ დაცვაში, მეფის ფლანგზე იერიშისათვის მოემზადა. მისმა მეტოქემ გრძელი როქი გააკეთა და მეფეს თითქოს მყუდრო ადგილი მოუნახა. მოულოდნელად ბახტაძემ მხედარი შესწირა ორ პაიკში და შავების პოზიციას განადგურებით დაემუქრა. სამწუხაროდ, მან მოგების გეგმის შედგენაზე საათები დახარჯა და მისი განხორციელებისათვის კი წამები დააკლდა. იგი ბოლო სვლებს ცაიტნოტში ელვისებური სისწრაფით აკეთებდა, მაგრამ საკონტროლო სვლებს როცა ორი სვლა დარჩა და გამარჯვებას ყველა ხედავდა, მის საათზე ალამი ჩამოვარდა. ბახტაძეს წაგება ჩაეთვალა, მაგრამ შეუძლია თავი იმით დაიმშვიდოს, რომ, ჯერ ერთი, 38-ე სვლამდე მაღალ დონეზე თამაშობდა და, მეორეც, მომავალი კიდევ წინაა.

გურგენიძემ მიქაელიანთან ოთხი მხედრის დებიუტი გაითამაშა. უკვე მე-15 სვლაზე ლამაზი „დრიბლინგით" მისმა ცენტრალურმა პაიკმა მეშვიდე ჰორიზონტალს მიაღწია. შევიწროებულ მდგომარეობაში მიქაელიანს მაინც შეეძლო პაიკის უვნებელყოფა, მაგრამ სწორი გზა ვერ მონახა და გურგენიძემ სატურნირო ცხრილში პირველი ერთიანი ჩაიწერა.

მესროპოვ-ზაიჩიკის პარტიაში საინტერესო ბრძოლა მხოლოდ ენდშპილში გაჩაღდა. ორმხრივ ცაიტნოტში ზაიჩიკმა არ მიიღო შეთავაზებული ყაიმი და მიაღწია ისეთ პოზიციას, სადაც მისი მხედარი მოწინააღმდეგის კუზე ძლიერი აღმოჩნდა. მან შექმნა გამსვლელი პაიკი, რომელშიც მესროპოვმა თავისი ერთადერთი ფიგურა დათმო, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა.

ბლიგიძემ მოუგო დავრანიანს, ხოლო შიშოვ-გაჩეჩილაძისა და ელიოზიშვილ-გამრეკელის შეხვედრები ყაიმით დასრულდა. გიორგაძე-სოროკინის პარტია გადადებულია ისეთ მდგომარეობაში, სადაც საყაიმო შედეგისათვის სოროკინმა შეცდომა უნდა დაუშვას, ხოლო გიორგაძემ ზუსტად ითამაშოს.

მეორე ტური

ეს იყო ძველი ინდური დაცვის დღე. ოთხ პარტიაში სწორედ ეს დაცვა გათამაშდა. იგი საფუძვლიანად დაამუშავეს საბჭოთა, განსაკუთრებით კი უკრაინელმა მოჭადრაკეებმა და დიდი ხანია დრო არის ამ დაცვას უკრაინული ეწოდოს. გურგენიძე, რომელსაც ეს დებიუტი კარგად ესმის, შეხვდა ბლაგიძეს, რომელმაც თეთრებით პარტია გაითამაშა თეორიის უკანასკნელი რეცეპტით და გურგენიძეს საგრძნობლად გაუძნელა საქმე. ეს უკანასკნელი ტაქტიკური მუქარებით იგერიებდა თეთრების მეთოდურ დაწოლას. ენდშპილში ბლაგიძეს შეეძლო პაიკი მოეგო, მაგრამ ვერ შეამჩნია. ეს ამაღელვებელი პარტია უშედეგოდ დამთავრდა.

პირველ ტურში ქარსელაძე ისვენებდა, რადგან მისი მოწაფე, ამჟამად კი მეტოქე არნშტეინი ავად არის. ახლა ქარსელაძე შავებით თამაშობდა დავრანიანთან. ძველ ინდურ დაცვაში ამ უკანასკნელმა ურთულესი ვარიანტი აირჩია, რასაც მეტად მწვავე გაგრძელება მოჰყვა. თეთრებმა შეტევისათვის მხედარი შესწირეს. ქარსელაძემ მათი ყველა მუქარა გააქარწყლა და ამის ჯილდოდ ზედმეტი ფიგურა შეინარჩუნა. მაგრამ ცაიტნოტში დაშვებული უხეში შეცდომით მან ნადავლიც დაკარგა და მისი მეფეც საშამათო ქსელში მოყვა, რასაც თავი ვერ დააღწია.

გიორგაძემ მოუგო ა. გამრეკელს, ხოლო გაჩეჩილაძე-ელიოზიშვილისა და მიქაელიან-ბახტაძის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ბუსლაევ-შიშოვის შეხვედრა არ დასრულებულა.

მესამე ტური

ბახტაძემ დავრანიანთან სიცილიურ დაცვაში ძლიერი იერიში განავითარა. მისი ლაზიერი მოწინააღმდეგის ბანაკში შეიჭრა, მხედარიც შესწირა შამათის იმედით, მაგრამ სვლები თავდებოდა და სანეტარო შამათი მაინც არ სჩანდა. უფიგუროდ დარჩენილმა ბახტაძემ თამაშის განგრძობას დანებება არჩია.

მოულოდნელად დამთავრდა გიორგაძის შეხვედრა გაჩეჩილაძესთან. დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში გიორგაძემ მოწინააღმდეგის მეფეს ლაზიერით და მხედრით შეუტია. უკანასკნელი სვლის წინ გაჩეჩილაძის მხედარმა თეთრების მეფეს ქიში გამოუცხადა. გიორგაძეს ის იყო პაიკით მხედარი უნდა აეყვანა, როცა დაინახა ხაზის გახსნა და თავისი ლაზიერის დაკარგვა.

ელიოზიშვილმა ალბათ იფიქრა, გიორგაძეზე ნაკლები არ ვარო და მასაც გამოეპარა ბუსლაევთან ერთსვლიანი „კომბინაცია". დაკარგა ფიგურა და დანებების ნიშნად საათი გააჩერა.

პოზიციური მანევრებით შიშოვმა უპირატესობას მიაღწია და მეთოდური თამაშით დაამარცხა მიქაელიანი. ყაიმით დამთავრდა ქარსელაძე-ზაიჩიკისა და არნშტეინ-სოროკინის შეხვედრები.

გურგენიძე-ჩიქოვანის პარტია გადაიდო მწვავე მდგომარეობაში

გადადებული პარტიების გათამაშების შემდეგ ტურნირის სათავეში ჩაუდგნენ ნ. სოროკინი და ა. ბუსლაევი (2,5 ქულა).

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი,
შ. დავითაძე.

• • •

სურათზე: (მარცხნივ) ბ. გურგენიძე და ა. ბლაგიძე თამაშის დროს.

მეტი ყურადღება ბაზების კეთილმოწყობას

★ რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა ★ ★

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახარებაოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობას ამ ხუთიოდე წლის წინ გააჩნდა ფეხბურთის მოედანი, სადაც კოლმეურნე ახალგაზრდობა თავისუფალ დროს თავს იყრიდა, ვარჯიშობდა, აწყობდა სპორტულ შეხვედრებსა და შეჯიბრებებს. ავი იყო თუ კარგი — ეს მოედანი ფიზკულტურელებს დიდ სამსახურს უწევდა. გავიდა ხანი და კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბრძანებით მოედანი გადახნეს.

ფიზკულტურელებმა თხოვნით მიმართეს კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარეს კ. სულავას მიწის ნაკვეთი გამოეყო მათთვის.

ეკალ-ბარდიან და ქვიან მიწის ნაკვეთზე კარგა ხანს მუშაობდნენ ახალგაზრდები და მოაწყვეს კიდეც ფეხბურთის მოედანი. ფეხბურთის მოყვარულებმა განაახლეს თამაში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ფეხბურთის კარების ძელებს გარდა მოედანზე წამოიჭიმა თამაშის წესებით გაუთვალისწინებელი ტელეფონის ბოძები. ესეც არ აკმარეს ახალგაზრდებს — მოედანი კვლავ გადახნეს. ფეხბურთელთა სამართლიან საჩივარს ამხ. კ. სულავამ ასე უპასუხა: რა დროს ფეხბურთია, კიდევ მოგიძებნით ეკალ-ბარდიან მინდორს, თქვენ გაწმინდეთ, ჩვენ კი გადავხნავთ.

ახალგაზრდობის მისწრაფებათა მიმართ ამ უსულგულო დამოკიდებულების შესახებ მოსწერა რედაქციას ამხ. მ. სულავამ.

• • •

ფიზკულტურელთა ჯგუფი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანიდან რედაქციას ატყობინებს საკოლმეურნეო სტადიონის მოუწყობლობის შესახებ. მათ საკუთარი ძალებით გაუმართავთ ეს ბაზა, მაგრამ მოუვლელობის გამო იგი გაპარტახებულა და ამჟამად სპორტულ ღონისძიებათათვის გამოუსადეგარია. განა არ შეიძლება კოლმეურნეობის გამგეობამ, კომკავშირულმა ორგანიზაციამ თაოსნობა გამოიჩინონ და სტადიონს მისცენ კეთილმოწყობილი სახე? რა თქმა უნდა, შეიძლება. საჭიროა მხოლოდ მონდომება, საქმისადმი ინტერესება და სიყვარული.

• • •

„მომაწოდე, აქეთ მომაწოდე!...

— როგორ მოგაწოდო, ამ ინდაურებიდან ვერ გამოვედი.

მარჯვენა გარემარბმა, როგორც იქნა, გაითამაშა „კომბინაცია" ინდაურებთან, გამოვიდა თავისუფალ ადგილზე და მიაწოდა ბურთი"

ასე იწყება წერილი, რომელიც ჩვენს რედაქციას გამოუგზავნეს ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის საშუალო სკოლის კომკავშირელებმა. მოედანზე ქვები ყრია. ორმოებითაა დაფარული, ზედ ოთხფეხი დათარეშობს. გარდა ამისა, იგი სახერხი ქარხნის ეზოდაც ყოფილა გამოყენებული. ყველაფერი ეს კარგად იცის ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა, მაგრამ „ზედმეტი" სამუშაოს თავის-თავზე აღებას ერიდება და სტადიონის კეთილმოწყობაზე ხელი აქვს ჩაქნეული.

ჩომოლუნგმა

დედამიწის ზურგზე მრავალი ისეთი მწვერვალია, რომელიც ადამიანს ჯერ კიდევ არ დაუპყრია. ასეთი მწვერვალები უმთავრესად განლაგებული არიან კუნ-ლუნის, ყარა-ყუმის, ჰიმალაისა და ჰინდუკუშის ქედებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე პამირის მთიან მასივში იწყებიან და შემდეგ მარაოსავით იშლებიან ჩინეთის, ინდოეთისა და ავღანეთის მიმართულებით.

მთასვლელთა ყველაზე დიდ ყურადღებას იპყრობს ჰიმალაის ქედზე მდებარე მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი ანუ ჩომოლუნგმა, როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ და რაც „ღმერთების დედას“ ნიშნავს. მისი სიმაღლე უდრის 8.884 მეტრს ზღვის დონიდან.

მრავალი ცდისა და გაღებული მსხვერპლის მიუხედავად, მთასვლელებმა დღევანდლამდე ვერ შესძლეს მისი დაპყრობა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ასვლას ევერესტის მწვერვალზე სპორტული თვალსაზრისით ისეთივე მნიშვნელობა ექნება, როგორც ჰქონდა თავის დროზე ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსების მიღწევას. ამიტომ გასაგებია, რომ ყოველი მთასვლელის სანუკვარი ოცნებაა ადამიანთა შორის პირველმა შეადგას ფეხი ჩვენი პლანეტის უმაღლეს წერტილს — ჩომოლუნგმას მწვერვალს.

მე-19 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ინგლისის იმპერიალიზმმა საბოლოოდ დაიმორჩილა ინდოეთი, იწყება ჰიმალაის ქედში მცხოვრებ ტომთა დამორჩილება და ჰიმალაის ქედით ტიბეტისაკენ მიმავალი გზების ათვისება, ვინაიდან მაშინ ინგლისის მორიგ ამოცანას ტიბეტის დაპყრობა შეადგენდა. ამ საქმეში კი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდნენ მთასვლელები, რომლებიც მთლიანად ინგლისის დაზვერვის სამსახურში იმყოფებოდნენ. ბევრი მათგანი კი ინგლისის არმიის კადრის ოფიცერი იყო. განსაკუთრებით გახშირდა ინგლისელ მთასვლელთა ვიზიტები ჰიმალაის ქედზე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ინგლისი უშუალოდ შეუდგა თავის აგრესიის განხორციელებას ტიბეტში. ამ დროიდანვე შეუდგნენ ინგლისელები მზადებას ევერესტზე ასასვლელად.

ალპინიზმის ტექნიკის თვალსაზრისით ევერესტი არ წარმოადგენს რთულ მწვერვალს. ასვლა ხდება 40-45 გრადუსის დაქანების ფილებით, რომლებზეც ქარი არ აჩერებს თოვლს. ამ ფილებზე მოძრაობა არ მოითხოვს რთული ალპინისტური ტექნიკის გამოყენებას. ზვავსაშიში და ტექნიკურად ერთგვარად რთულია მხოლოდ გზა თხემამდე, ე.ი. დაახლოებით 7.500 მეტრის სიმაღლემდე. ამრიგად, ევერესტზე ასვლის ძირითადი სიძნელე ასეთ დიდ სიმაღლეზე ჟანგბადის ნაკლებობაა. ამ პირობებში კი მთასვლელის ორგანიზმი მეტად სწრაფად იქანცება და ადამიანს აპატია იპყრობს. მოწყობილი ასვლებიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ კარგი აკლიმატიზაციისა და სათანადო ვარჯიშის შემდეგ მთასვლელს შეუძლია იმოძრაოს ასეთ დიდ სიმაღლეზეც კი, ჟანგბადის სასუნთქავი აპარატის გარეშეც. ევერესტზე ასვლისათვის მეორე დიდი დაბრკოლებაა განუწყვეტელი გრიგალისებრი ქარი მის თხემზე, რომელიც უადვილესი გზაა მწვერვალისაკენ და აიძულებს მთასვლელებს ასვლა აწარმოონ არა ამ გზით, არამედ თხემის ძირა ფერდით და მწვერვალის უკანასკნელი მონაკვეთი დასძლიონ ღამით. ეს კი ართულებს მდგომარეობას, სწორედ აქ შეჩერდნენ ინგლისელები ნორტონი და სომერველი და სადღაც ამ ადგილებში 1924 წელს დაიღუპნენ იმავე ექსპედიციის წევრები ირვინი და მელორი, რომლებმაც მაშინ ვარაუდით 8.660 მეტრს მიაღწიეს. ეს შედეგი უკანასკნელ ხანებამდე ითვლებოდა მიღწეულ ყველაზე დიდ სიმაღლედ.

1950 წლიდან ჰიმალაისა და ყარა-ყუმის მწვერვალებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ ფრანგები და შვეიცარიელები. ფრანგებმა მარის ჰერცოგმა და ლუი ლაპენალმა შესძლეს დაეპყროთ მწვერვალი ანაპურნა (8.078 მეტრი) ჰიმალაის ქედზე. ეს არის ადამიანის მიერ დაპყრობილი პირველი მწვერვალი, რომელიც აღემატება 8.000 მეტრს. მაგრამ ეს ასვლა ფრანგ მთასვლელებს ძვირად დაუჯდათ. მოყინვის გამო ჰერცოგს მოაჭრეს ხელებისა და ფეხების ყველა თითი, ლაპენალს ფეხის თითები, ხოლო ექსპედიციის მესამე მონაწილე ტურსი დაბრმავდა.

ტიბეტის იმპერიალიზმის უღლისაგან გათავისუფლების შემდეგ ინგლისელებმა დაიწყეს ევერესტზე ასასვლელი გზების ძებნა ნეპალის მხრიდან, ვინაიდან ევერესტი სწორედ ნეპალისა და ტიბეტის საზღვარზე მდებარეობს და აქამდე ასვლის ყველა ცდა ტიბეტის მხრიდან ხდებოდა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ინგლისელი მზვერავი აღმოსავლეთის „სპეციალისტი“ და „დიპლომატი“ ერიკ შიპტონი, მაგრამ შიპტონის ექსპედიციამ რაიმე გარკვეულ შედეგს ვერ მიაღწია. ასევე მარცხით დამთავრდა შიპტონის ცდა ასულიყო ჰიმალაის ქედის მწვერვალ ჩოიუზე (8.153 მეტრი).

გასული წლის მარტში შვეიცარიიდან ნეპალისაკენ ევერესტზე სამხრეთ დასავლეთი თხემით (ნეპალის მხრიდან) ასვლის მიზნით გაემგზავრა შვეიცარიელების ექსპედიცია, რომელიც დაკომპლექტებული იყო შვეიცარიის უძლიერესი მთასვლელებით. ექსპედიციას სათავეში ედგა შევალიე. როგორც დასავლეთ ევროპის პრესა იტყობინებოდა, ეს ექსპედიცია ევერესტის ყველა სხვა ექსპედიციაზე უკეთ იყო მოწყობილი. ციურიხის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა ამ ექსპედიციისათვის შეიმუშავა ახალი ტიპის ჟანგბადის სასუნთქავი ნიღაბი და მსუბუქი ბალონი. რამდენადაც შვეიცარიელი მთასვლელები დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნის მთასვლელებთან შედარებით ბევრად უფრო ამტანი არიან, შვეიცარიაში იმედოვნებდნენ, რომ ექსპედიცია ევერესტს დაიპყრობსო. შვეიცარიელებმა გაითვალისწინეს შიპტონის 1951 წლის ზაფხულის ექსპედიციის მარცხი. მაშინ შიპტონმა არა თუ ევერესტის მწვერვალზე ასვლა, არამედ მის ძირამდე მისვლაც კი ვერ შეძლო, ვინაიდან მთებში თოვლის დნობით ადიდებულმა მდინარეებმა მოწყვიტეს ყველა მისადგომი გზა. ცხადი გახდა, რომ ევერესტის ძირამდე მისვლა ნეპალის მხრიდან შესაძლებელია მხოლოდ ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომასა და ზამთარში. ამიტომ შევალიეს ექსპედიციამ ასვლის პირველი ცდა მოახდინა სწორედ გაზაფხულზე და მხოლოდ 7.200 მეტრის სიმაღლეს მიაღწია. ნეპალში დაბრუნებულმა ექსპედიციამ დაიწყო ახალი იერიშისათვის მზადება. გასული წლის შემოდგომის მიწურულში ექსპედიციას თან ახლდა მრავალი ნეპალელი მზიდავი, რომელთაც უნდა აეზიდათ შესაძლებელ სიმაღლემდე ექსპედიციის ტვირთი. მაგრამ შვეიცარიელი მთასვლელები არც ისე ძლიერი და გამძლე აღმოჩნდნენ. ყოველდღე სიმაღლესთან ერთად მატულობდა ავადმყოფთა რიცხვიც. უკანასკნელი ბანაკი დადგმული იქნა 8.100 მეტრის სიმაღლეზე. მწვერვალამდე დარჩენილი თითქმის 800 მეტრი სიმაღლის ერთი იერიშით აღება შეუძლებელი იყო, მთასვლელებს წინ წაწევის ძალა აღარ აღმოაჩნდათ. ამ ბანაკში მათ გაატარეს ორი დღე. ბოლოს გამოირკვა, რომ წინ წასვლის უნარი შერჩა მხოლოდ ორს — 38 წლის შვეიცარიელ ლამბერტ რეისს და ნეპალელ ზოთია თენსინგს ისინი ვარაუდობდნენ, რომ დილით გასულები საღამოსათვის დაბრუნდებოდნენ ბანაკში. მათ თან წაიღეს შვეიცარიის დროშა, რომელიც მწვერვალზე უნდა დაეტოვებინათ. საღამოსათვის ორივე მთასვლელი ბანაკში დროშით დაბრუნდა. მწვერვალს კვლავ ვერ მიაღწიეს.

ლამბერტის განცხადებით, მან თანამგზავრთან ერთად მიაღწია 8.800 მეტრის სიმაღლეს. ამრიგად, მწვერვალამდე რჩებოდა ასიოდე მეტრი. ჟანგბადის ნიღბების მიუხედავად, ამ სიმაღლეზე სუნთქვა შეუძლებელი გახდა. ძლიერი ქარი კი მოითხოვდა დიდი ენერგიის დახარჯვას, წონასწორობის შესანარჩუნებლად. „ჩვენ აღარ გვქონდა უნარი გადაგვედგა წინ ერთი ნაბიჯიც კი“,— განაცხადა ლამბერტმა.

მაგრამ შეეფერება თუ არა სინამდვილეს ლამბერტის მტკიცება, რომ მან მიაღწია 8.800 მეტრს და ამით დაამყარა სიმაღლის რეკორდი? ვფიქრობთ, რომ არა. თუ გავითვალისწინებთ ასეთ სიმაღლეზე მოძრაობის შესაძლებელ ტემპს, იმას, რომ თვით ლამბერტის განცხადებით, მათ აღარ ჰქონდათ ძალა თუნდაც ერთი ნაბიჯი გადაედგათ წინ, უნდა დავასკვნათ, რომ ლამბერტი ერთ დღეში შესძლებდა ვერტიკალით არა უმეტეს 500 მეტრის გავლას. ამიტომ მის მიერ მიღწეული სიმაღლის მაქსიმუმი შეიძლება იყოს არა უმეტეს 8.550-8.600 მეტრისა. ამრიგად, ამ ექსპედიციას თავისი შედეგებით არ გადაუჭარბებია 1924 წლის ექსპედიციისათვის. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, უნდა დავასკვნათ, რომ ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ევერესტის დაპყრობის საქმე ოდნავადაც არ წაწეულა წინ.

ო. გიგინეიშვილი

დაუსწრებელ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სპორტსკოლა ნაყოფიერად მუშაობს მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა აღზრდის საქმეში. ამაზე მეტყველებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს გარდამავალი ჯილდო და I ხარისხის დიპლომი, რომელსაც სკოლა უკვე მეორე წელია ინარჩუნებს.

აქ ასობით თბილისელი მოსწავლე გოგონა და ვაჟი მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით წარმატებით იმაღლებს სპორტულ დონეს. სკოლის წარმომადგენლები მონაწილეობენ მრავალ სპორტულ შეჯიბრებაში და მაღალ შედეგებს აღწევენ. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებათაგანი იყო 1953 წლის საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება ტანვარჯიშში ბავშვთა სპორტსკოლებს შორის, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა. მასში 376 მოსწავლე გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა. ცხრა დღის მწვავე ბრძოლის შემდეგ პირველ ადგილზე გამოვიდნენ ვაჟთა შორის პირველ თანრიგში საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონი ტანვარჯიშში, უ. ვარდიაშვილი, მეორე თანრიგში— რ. პერტენავა, მესამე თანრიგში — ი. მეგრელიძე, ხოლო ჭაბუკთა თანრიგში —ზ. მიქაია. გოგონათა შორის პირველ თანრიგში ნ. კესაევა, მეორე თანრიგში — ნ. ვეკუა, ხოლო მესამეში — ლ. მიქიაშვილი.

ვ. ქიქნაძე

ცხრა გუნდის მონაწილეობით

თიანეთის რაიონის განათლების განყოფილებამ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონულ კომიტეტთან ერთად ჩაატარა შეჯიბრება ფრენბურთში რაიონის სკოლების პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რვაწლიანი და საშუალო სკოლების 9 გუნდი.

ასპარეზობისათვის კარგად მოემზადნენ თიანეთის საშუალო სკოლის ვაჟთა და ქალთა გუნდები და პირველი ადგილი დაიკავეს. შეჯიბრების მსვლელობაში უდისციპლინობას ჰქონდა ადგილი სოფელ სიმონიანთხევის საშუალო სკოლის გუნდის წევრების მხრიდან, რომლებიც მსაჯს ცემით დაემუქრნენ.

ჯ. გოჯიაშვილი.

ორი ინსტიტუტის შეჯიბრება

ჩატარდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური და საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტების მოჭადრაკეთა შეჯიბრება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გუნდების მონაწილეობით. როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა გუნდების შეხვედრაში დამარცხდნენ მომავალი პედაგოგები.

გ. ლეჟავა.

მონადირე ძაღლების გამოფენა

ამას წინათ სოხუმში გაიხსნა მონადირე ძაღლების გამოფენა. წარმოდგენილი იყო ქალაქ სოხუმისა და აფხაზეთის რაიონების საუკეთესო მონადირე ძაღლები.

პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა გაგრის რაიონის, მეორე ხარისხის დიპლომი — გუდაუთის, მესამე ხარისხისა კი ოჩამჩირის რაიონის მონკავშირს.

პ. ლეთოდიანი.

ახალი სპორტული დარბაზი

სოხუმში დაიწყო ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს.

დ. კიუტი.

ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელში ყოფნისას იტაცებდა თამილა ციციშვილს ფიზკულტურა და სპორტი. ბეჯით სწავლასთან ერთად იგი სპორტშიც მოწინავე იყო. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თ. ციციშვილი წარმატებით განაგრძობს სპორტული დაოსტატებისათვის ბრძოლას. საქართველოს „მონკავშირის“ პირველობაზე სასტენდო სროლაში გამართულ შეჯიბრებაში მან ამას წინათ პირველობა მოიპოვა, ხოლო ქ. თბილისის პირველობაზე სპორტის ამავე სახეობაში მეორე ადგილი დაიკავა.

სურათზე: თ. ციციშვილი.

დღეს თბილისში

კრივი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში შედგება საკლასიფიკაციო შეჯიბრება — „ღია რინგი“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ქალაქის სპორტსაზოგადოებათა მოკრივეები. დასაწყისი დღის 12 საათზე.

ველო-სპორტი. საქართველოს პირველობა ველო-სპორტში (ტრეკი). შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები. დასაწყისი 17 საათზე.

ჭადრაკი. რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში ჩატარდება საქართველოს პირველობა ქალებს შორის. დასაწყისი 19 საათზე. აქვე გაიმართება საქართველოს პირველობის მეოთხე ტური (ვაჟთა შორის).

ფეხბურთი. ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სტადიონებზე ჩატარდება მატჩები ქალაქის პირველობაზე.

ფრენბურთი. კიროვის სახელობის პარკში ქალაქის პირველობა მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. დასაწყისი 17 საათსა და 30 წუთზე.

ჩოგბურთი. „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე თბილისის გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 საათზე.

ავტო-სპორტი. ლისის ტბის მიდამოებში 13 საათზე მიეცემა სტარტი ქალაქის უძლიერეს ავტომობილისტებს, რომლებიც მონაწილეობენ სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ პირველობაზე.

ჭიდაობა. თბილისის სახელმწიფო ცირკში საქართველოს პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში. დასაწყისი 13 საათზე

საქართველოს კალათბურთელთა წარმატება

ამას წინათ ხარკოვში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში სპორტული საზოგადოება „კრასნოე ზნამიას“ პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზანისა და გორკის, აგრეთვე უკრაინის, საქართველოსა და სომხეთის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

ქალთა გუნდებს შორის პირველობა მოიპოვეს უკრაინის კალათბურთელებმა. ვაჟთა შორის პირველი ადგილი მიენიჭათ საქართველოს სპორტსმენებს.

ამხანაგური შეხვედრები

ნაყოფიერად მუშაობს ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბრის რვაწლიანი სკოლის ფრენბურთელთა გუნდი. იგი ხშირად აწყობს ამხანაგურ შეხვედრას მეზობელი სოფლის ფრენბურთელებთან. შეჯიბრება სოფელ ჭიკაანისა და სოფელ გავაზის საშუალო სკოლების გუნდებთან მათ ერთნაირი ანგარიშით მოიგეს.

ი. დალაქიშვილი.

სპორტული ქრონიკა

სიღნაღი. დამთავრდა შეჯიბრება რაიონის პირველობაზე ფრენბურთში. მონაწილეობდა ვაჟთა 15 და ქალთა 6 გუნდი. ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა ქვედა ბოდბის, ქალთა შორის სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლის გუნდმა.

მ. ვარამაშვილი.

• • •

ორჯონიკიძე. ჩატარდა მოსწავლე კალათბურთელთა შეჯიბრება. მონაწილეობდა რკინიგზის, სოფელ ლაშის, ლელევნის, ფარცხნალისა და სხვა სკოლის 13 გუნდი. გაიმარჯვეს რკინიგზის სკოლის მოსწავლეებმა.

ზ. შარიქაძე,
რ. კიკნაძე.

• • •

ხაშური ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ხაშურისა და ბორჯომის ბავშვთა სპორტული სკოლების ვაჟ და ქალ კალათბურთელთა შორის. გაიმარჯვეს ხაშურელებმა.

ვ. ჩიქოვანი.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლებაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 3-64-92, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03637